აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1 ტელ/ფაქსი 412: 29-19-19

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №1-051

აბაშა, 2020 წლის 26 აგვისტო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შექმნისა და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია;
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი გოჩა ხურცილავა;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247);
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი